შიდაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№35 (10.140)

28 სექტემბერი—5 ოქტომბერი 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ აღინიშნა

24 სექტემბერს სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ გაიმართა. კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია საზეიმოდ მოირთო, მოეწყო სპეციალური სცენა, გამოიფინა ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები. მთელი დღის მანძილზე მიმდინარეობდა საბავშვო - გასართობი ღონისძიებები ანიმატორების და მოსიარულე ორკესტრის მონაწილეობით. ბავშვები განსაკუთრებით გაერთნენ „თამაშობანას“ მიერ მოწყობილ სივრცეში, სადაც პატარა მეგობრებთან ერთად, საოცარი გარემო კიდევ უფრო გააფერადეს - მხიარულმა აქტივობებმა, საინტერესო ვორქშოპებმა, ინტერაქციულმა თამაშებმა ეს დღე კიდევ უფრო დაუვიწყარ მოგონებად აქციეს.

დედოფლისწყაროელებსა და სტუმრებს მიესალმა **დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.** „ეს დღესასწაული 2013 წლიდან აღინიშნება და უკვე ტრადიციად იქცა. წელს, ორჯერ გადაიდო დედოფლისწყაროობა, მაგრამ მთავარია, რომ ჩატარდა. ძალიან ლამაზი დღეა, უამრავი სტუმარი ჩამოვიდა და ყველა ბედნიერია. დღეს ბევრი სიურპრიზი გელით ყველას!“

ილია ბეგიაშვილი, საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე: „დიდი სიყვარულით მინდა მივესალმო დედოფლისწყაროელებს, მეამაყება, რომ ჩემი ბავშვობისა და ახალგაზრდობის ბევრი დღე და მოგონება უკავშირდება დედოფლისწყაროს. გილოცავთ ყველას „დედოფლისწყაროობას“ და ბევრ ასეთ ლამაზ დღეს გისურვებთ!“.

მეუფე თეოდორე: „მინდა მოგილოცოთ ყველას შესანიშნავი ქალაქის დღესასწაული, შემოდგომის დადგომა და გისურვოთ თითოეულ თქვენგანს სიკეთე, სიხარული, წყალობა ღვთისა და მშვიდობა, რაც ყველაზე მთავარია“. მეუფემ, რომელიც თავად საპატიო დედოფლისწყაროელის ტიტულის მფლობელია, დააჯილდოვა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წარმატებული კურსდამთავრებულები. ოქროსა და ვერცხლის 37 მედალოსანს წელს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ოქროს მედლის მფლობელებს გადაეცათ ფულადი ჯილდო 500 ლარის, ხოლო ვერცხლის მედლის მფლობელებს - 400 ლარის ოდენობით.

წარმატებული დედოფლისწყაროელების ტიტული გადაეცათ: — **ეკა სეფიაშვილს, ქ. დედოფლისწყაროს N1 საჯარო სკოლის ინგლისური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს,** რომელიც სულ ცოტა ხნის წინ „მასწავლებლის ეროვნული პრემიის“ მფლობელი გახდა. „ეს ჯილდო არის მასწავლებლის შრომის აღიარება და დაფასება“ - აღნიშნა ეკა სეფიაშვილმა სამადლობელ სიტყვაში.

გიორგი გივიშვილს, ძიუდოისტს, რომელმაც რამდენიმე კვირის წინ ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის - 66 წონით კატეგორიაში ნეიტრალური დროშით მოასპარეზე აბდულახ პარჩიევი დაამარცხა და ოქროს მედალი მოიპოვა. ის სულ რაღაც 17 წლისაა და აპირებს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ხუთჯერ მაინც მოიპოვოს და ამდენჯერვე ააყღეროს საქართველოს ჰიმნი მსოფლიო მასშტაბით.

დედოფლისწყაროელებს სცენიდან მიესალმა **დავით სონღულაშვილი, მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში:** „გილოცავთ დედოფლისწყაროობას - ამ მშვენიერ ტრადიციას და მიხარია, რომ წელსაც ზეიმობთ ამ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ „დედოფლისწყაროობის“ ჩატარება წელს გამოწვევა იყო, ის მაინც გაიმართა. ამ დღის მთავარი მოვლენა ხომ საპატიო დედოფლისწყაროელების გამოვლენა და დაჯილდოვებაა. პირველი საპატიო მოქალაქის გამოცხადების პატივი მე მხვდა წილად“— განაცხადა დავით სონღულაშვილმა და დედაქალაქში მოღვაწე წარმატებული ექიმი ზურაბ რობიტაშვილი სცენაზე მოიხმო.

დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭათ:

ზურაბ რობიტაშვილს — „ენმედიცის“ გენერალურ დირექტორს, ენდოკრინოლოგს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

ავთანდილ ალიკოშვილს — მშენებელს, დედოფლისწყაროს რაიონის აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის;

სერგო ქართველიშვილს — არქიტექტორს, ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

ხათუნა აგლაძეს — ექიმს, დედოფლისწყაროს საავადმყოფოს კლინიკურ მენეჯერს, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

მაყვალა წიკლაურს — კულტურის ღვაწლმოსილ მუშაკს, ზემო ქედის ქართული ხალხური სიმღერის გუნდის ლოტბარს,

/გაგრძელება გვ.8/

ხათუნა აგლაძე

ავთანდილ ალიკოშვილი

ზურაბ რობი[illegible]ილი

„იმედი მაქვს სანქციები არ გვექნება“ — ლევან დავითაშვილი

დიდი იმედი მაქვს, არანაირი სანქციები არ გვექნება იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ, მათ შორის საერთაშორისო სანქციების შესრულების ნაწილში, საერთაშორისო საზოგადოების აქტიური და პასუხისმგებლიანი წევრები ვართ, ამიტომ, გვექნება დიალოგი, რათა სტაბილური, მათ შორის საკანონმდებლო, გარემო უზრუნველვყოთ, რაც ნეგატივს თავიდან აგვარიდებს,- ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ლევან დავითაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ინვესტორების განწყობა „საკმაოდ პოზიტიურია“ და საქართველოს მიმზიდველი საინვესტიციო გარემო აქვს.

„ჩვენი ეკონომიკა სტაბილურად იზრდება. მიმდინარე წელს, პირველი 7 თვის განმავლობაში 9.7%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს. ვფიქრობთ, რომ მაღალ ეკონომიკურ ზრდას შევინარჩუნებთ. ნახეთ, ADB-ის პროგნოზის კორექტირებამათ გადახედეს ზრდისკენ საქართველოს ეკონომიკის ზრდას. ეს მოსალოდნელიც იყო. სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიც თანხმდებიან, რომ საქართველოში საშუალოვადიან პერსპექტივაში იქნება მაღალი ეკონომიკური ზრდა - 5.5%. ჩვენი მოლოდინია, რომ შეიძლება, უფრო მაღალიც იყოს. მაღალი ეკონომიკური ზრდა სხვა პარამეტრების სტაბილურობის შენარჩუნებასთან ერთად, მნიშვნელოვანია, რათა ქვეყანამ სახე იცვალოს უკეთესობისკენ და საქართველოში ცხოვრების დონე გაუმჯობესდეს. ამიტომ, პოზიტიური ეკონომიკური პროცესების შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ინვესტორების განწყობებს - ინვესტორების განწყობა საკმაოდ პოზიტიურია. მიმზიდველი საინვესტიციო გარემო გვაქვს. ამაზე დიალოგი მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. დღევანდელი პანელიც საინტერესო იყო და ბევრი პოტენციური ინვესტორი იყო. ამ შემთხვევაში კონკრეტულად ტურიზმის სექტორში, მაგრამ ასეთი ტიპის საერთაშორისო ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ვიღებთ და გავაგრძელებთ მუშაობას. ბუნებრივია, ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება გვჭირდება, რომ გარემო იყოს ისეთივე პროგნოზირებადი, როგორც ამ წლებში და ქვეყანაში გაგრძელდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რაშიც დარწმუნებული ვარ, იმიტომ რომ საქართველო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს მქონე ქვეყანაა“,- განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ცესკოში პარტიული სია 19 პოლიტიკურმა გაერთიანებამ წარადგინა

საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიული სიების წარდგენის ვადა 26 სექტემბერს ამოიწურა. ცესკოს თავმჯდომარეს პარტიული სია სულ 19-მა საარჩევნო სუბიექტმა წარუდგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას ცენტრალური საარჩევნო კომისია ავრცელებს.

მათი ცნობით, ცესკოს შესაბამისი სამსახურის მიერ პარტიული სიების შემოწმების და რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება უკვე დაწყებულია და პარტიული სიების რეგისტრაციის ბოლო ვადა 6 ოქტომბერია.

ესენი არიან:

1. „საქართველო“
2. „გახარია საქართველოსთვის“
3. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“
4. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
5. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია
6. „მემარცხენე ალიანსი“
7. „თავისუფალი საქართველო“
8. „ტრიბუნა“
9. „შეცვალე საქართველო“
10. „ჩვენ“
11. „ქართველ ერთობა“
12. „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“
13. ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
14. „გირჩი“
15. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
16. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“
17. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“
18. „კოალიცია ცვლილებებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“
19. „ევროპელი დემოკრატები“

ცესკოს შესაბამისი სამსახურის მიერ პარტიული სიების შემოწმების და რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება უკვე დაწყებულია. პარტიული სიების რეგისტრაციის ბოლო ვადა კი 6 ოქტომბერია. ამ დროისთვის რეგისტრირებულია ერთი საარჩევნო სუბიექტის - „ევროპელი დემოკრატების“ პარტიულის სია. შესაბამისად რეგისტრაციის პროცედურებს გადის 18 საარჩევნო სუბიექტი.

26 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებული იყო 27 საარჩევნო სუბიექტი. მათგან სამ პარტიას („ანა დოლიძე - ხალხისთვის“, „მოქალაქეები“ და „მწვანეთა პარტია“) საარჩევნო რეგისტრაცია საკუთარი განცხადების საფუძველზე გაუუქმდა.

აღსანიშნავია, რომ ცესკომ პოლიტიკურ პარტიებს პარლამენტის არჩევნებისთვის პარტიული სიის ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა მისცა. ცესკოს დადგენილებაში ცვლილება, რომლის თანახმადაც პარტიებს საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 წლის ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრაციის მიზნით, პარტიული სიის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით წარდგენა შეეძლოთ, ძალაში 10 სექტემბერს შევიდა. რის შემდეგაც ცესკომ არჩევნებისთვის რეგისტრირებულ პარტიებს შესთავაზა, ესარგებლათ სიების წარდგენის ელექტრონული წესით. აღნიშნული წესით პარტიული სია ოთხმა პარტიამ წარადგინა.

გარდა ამისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჯერ კიდევ საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე დადგენილებით (დადგენილება 34/2024) განსაზღვრა კანდიდატის პარტიული კუთვნილების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი, რითაც ხელი შეუწყო პარტიებს დროულად მიეღოთ გადაწყვეტილებები პარტიულ სიებთან დაკავშირებით.

საარჩევნო ადმინისტრაციამ ასევე დააზუსტა ის ვადები, რომელიც განსაზღვრავს კანდიდატის მიერ ნარკოლოგიური ცნობის წარმოდგენას. ცესკომ ცვლილება შეიტანა შესაბამის განკარგულებაში და დაადგინა, რომ ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა ცესკოში წარდგენილ პარტიულ სიას დაერთვება თუ ის გაცემულია პარტიული სიების წარდგენის ბოლო ვადამდე 20 კალენდარული დღის ვადაში, რითაც საარჩევნო სუბიექტებისთვის მნიშვნელოვანი პროცედურის შესახებ ინფორმაცია კიდევ უფრო ცხადი გახადა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

„უცხოური პირები, არასამთავრობოები და მედია მოსახლეობას ართმევს ინფორმირებული არჩევანის უფლებას“ — შალვა პაპუაშვილი

„უცხოური მოქმედი პირები, არასამთავრობოები და მედია, დემოკრატიული გარემოს გაუმჯობესების ნაცვლად, მოსახლეობას ართმევს ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უფლებას,“ - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი წერს.

მისი განცხადებით, „მნიშვნელოვანი არჩევნების წინ ზოგიერთი პოლიტიკურად ანგაჟირებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ქცევა, რომლებსაც არჩევნების "მიუკერძოებელ" დამკვირვებლებად მოაქვთ თავი, ჩვენი დემოკრატიისათვის პრობლემად იქცა.“ „ჩვენს რეგიონში, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი არასამთავრობო ორგანიზაციას ან მედიას აკრიტიკებს, მაშინვე, ავტომატურად, ანტიდემოკრატიული შევიწროების იარლიყს აწებებენ ხოლმე. არასამთავრობოებისა და მედიის კეთილსინდისიერებისა და დამოუკიდებლობის საკითხი მიკერძოებისა და სტერეოტიპების გარეშე უნდა განვიხილოთ.

სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის უნდა იდგეს. თუმცა, ის არ უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკურ ორგანიზაციას. ის, რომ არასამთავრობოს წარმომადგენელი ან ჟურნალისტი ოფიციალურად არ იყრის კენჭს არჩევნებში, სულაც არ ნიშნავს, რომ პოლიტიკოსი არ არის. მათი მიჩნევა მიუკერძოებლად და დამოუკიდებლად არ შეიძლება. ამიტომაც, უფრო სწორი იქნება, რომ მათ პოლიტიკური აქტივისტები ვუწოდოთ და არა სამოქალაქო საზოგადოება. ზოგიერთი მათგანი პირდაპირაა დაკავშირებული ფორმალურ პოლიტიკურ პარტიებთან, ზოგჯერ პირდაპირ ამ პარტიების სახელებსაც კი ირქმევენ, როგორც, მაგალითად „დროა“ ან „ხალხისთვის“. იყო შემთხვევა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალპარტიული დემოკრატიის აღმოსავლეთ ევროპული ცენტრის“ ლიდერები პირდაპირ გადაკეთდნენ პოლიტიკურ პარტია „თავისუფლების მოედნად“.

მეტიც, ცოტა ხნის წინ, ანტიკორუფციულმა ბიურომ, არასამთავრობო ორგანიზაცია „აირჩიე ევროპა“ პოლიტიკური მიზნების მქონე სუბიექტად გამოაცხადა. არასამთავრობოებმა გააკრიტიკეს ეს გადაწყვეტილება და ის სამოქალაქო საზოგადოების შევიწროებად გამოაცხადეს. თუმცა, სულ რამდენიმე დღეში, ამ არასამთავრობოს ორი წამყვანი ფიგურა ოპოზიციის საარჩევნო პარტიული სიის წამყვან ადგილებზე ვიხილეთ.

აშკარაა, რომ ამ არასამთავრობოებისა და მედიის დღის წესრიგი ღიად პოლიტიკურია. ისინი გამუდმებით მოუწოდებენ მთავრობის შეცვლისაკენ და, ერთ მომენტში, „ტექნიკური მთავრობის“ ფორმირებაც კი მოითხოვეს, რომელსაც, მათი თქმით, ქართული ოცნების დამხობის შემდეგ, თავადვე გაუძღვებოდნენ. სოროსის ფონდის, „საერთაშორისო გამჭვირვალების“, „ახალგაზრდა იურისტებისა“ და „სამართლიანი არჩევნების“ გზავნილები, ნარატივი და თემების არჩევანი სრულადაა სინქრონიზებული ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან. არასამთავრობოების მსგავსად, ისეთი ტელეკომპანიები, როგორებიცაა „მთავარი“, „პირველი“ და „ფორმულა“ პროპაგანდისტულ პლატფორმებს უქმნიან იმავე პარტიებს, შესაბამისად „ახალს“, „ლელოსა“ და ენმ-ს.

პოლიტიკური დღის წესრიგისა და მაუწყებლობის გარდა, ამ არასამთავრობოებისა და მედიის ფინანსები ხშირად პირდაპირ ემსახურება პოლიტიკურ პარტიებს: არასამთავრობოები პარტიების შეხვედრებს აორგანიზებენ, აწყობენ „დემოკრატიის ფესტივალებს“ პოლიტიკური აგიტაციისათვის, ან სულაც, პოლიტიკოსების შემოსავლის წყაროს წარმოადგენენ. მოკლედ, არასამთავრობოები, მედია და პარტიები ერთმანეთში არიან გადახლართულნი და ქმნიან პოლიტიკურ კონგლომერატებს, რომლებიც ხშირად დაკავშირებულნი არიან ჩრდილოვან ოლიგარქებთან.

პოლიტიკური კავშირებისა და ფინანსური დახმარების გარდა, ეს არასამთავრობოები და მედია საშუალებები პირდაპირ ფინანსდებიან უცხოეთიდან, „დემოკრატიული დახმარების“ გრანტებისა და პროგრამების საშუალებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უცხოური ფული ქართულ პოლიტიკაში შემოედინება. საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ კრძალავს პოლიტიკოსებისა და პარტიების უცხოეთიდან დაფინანსებას. ისინი საარჩევნო გარემოს ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ გადანონვით არიან დაკავებული, რითაც მოსახლეობას ართმეენ ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთების უფლებას“, - წერს შალვა პაპუაშვილი.

ქართული პროდუქტი საუდის არაბეთში

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, საუდის არაბეთში, ქალაქ რიადში, სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენაზე Foodex Saudi ათმა ქართულმა კომპანიამ დამთვალიერებელს საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია გააცნო.

საქართველოს სტენდზე საკუთარ პროდუქციას წარმოადგენენ ქართული კომპანიები, მათ შორის დედოფლისწყაროში მოქმედი „აგროქიზიყი“.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული პროდუქცია: კაკალი, მოცვი, წყალი, მშრალი ხილი, შეციებული ცხვრის ხორცი და ორგანული წვენები.

„აგროქიზიყის“ დამფუძნებელი **ბექა გონაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ ახალი საექსპორტო ბაზრების მოსაძებნად და მსხვილ შემსყიდველებთან ურთიერთობების დასამყარებლად ასეთი გამოფენები მნიშვნელოვანია.

„ამ გამოფენაში ყოველწლიურად ვიღებთ მონაწილეობას. საუდის არაბეთში ჩვენ ძირითადად ცოცხალი ცხვრისა და ცხვრის ხორცის ექსპორტს ვახორციელებთ. უფრო ზუსტად კი ამ ქვეყანაში ცოცხალ ცხვარს რამდენიმე წელია ვაგზავნით, თუმცა ხორცის გატანას ახლა ვიწყებთ. გამოფენაზე პოტენციურ კლიენტებთან გაცნობითი ხასიათის საინფორმაციო შეხვედრები გვქონდა. ამ კუთხით ჩვენი სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ეს პლატფორმა საკმაოდ მნიშვნელოვანია. შედეგები მოგვიანებით გამოჩნდება, მაგრამ კმაყოფილი ვართ. ერთი გემი ცოცხალი ცხვარი უკვე გავგზავნეთ და წლის ბოლომდე ორი გემი კიდევ გავა. ასევე, ჩვენს კომპანიას აქვს რამდენიმე მიმდინარე პროექტი, რომელიც საქართველოს რამდენიმე რეგიონში ხეხილის ბაღებს ემსახურება. ამ მეურნეობებში მოყვანილი ხილის მოსავლის სამომავლოდ რეალიზაციისთვისაც ახალი ბაზარი და კავშირები გვჭირდება. ამიტომ გვაინტერესებდა სად შეიძლება გავიტანოთ ატამი, ბრტყელი ატამი, გარგარი და სხვა მსგავსი ხილი,“ — აღნიშნავს ბექა გონაშვილი.

გამოფენის გახსნას სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი ფანცულაია დაესწრო. მიმდინარე წელს, გამოფენა მეთერთმეტედ ჩატარდა და მასში 50-მდე ქვეყანამ და 500-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. **შირაქი**

მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნენ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ქალაქ დედოფლისწყაროში მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა.

პროექტი ითვალისწინებს მუზეუმის სრულ რეაბილიტაციას და ინვენტარის განახლებას. სამუშაოების ფარგლებში უკვე შეიცვალა შენობის სახურავი და კარ-ფანჯარა, დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა. განახლებული მუზეუმის შენობა ადაპტირებული იქნება შშმ პირებზე.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების პროგრამის „CESL“ - ის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით.

აღნიშნულ საგრანტო ხელშეკრულებას ხელი, გასული წლის დეკემბერში მოეწერა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ შეიქმნება ხელსაყრელი გარემო მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვიზიტორთა ნაკადების მოსაზიდად, გამოფენების, შემოქმედებითი საღამოების მოსაწყობად, და სამეცნიერო კონფერენციების ჩასატარებლად.

პროექტის ღირებულება 456 111 ლარია და ის მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. შესაბამისი პირობების და საგამოფენო სივრცის არარსებობის გამო მუზეუმი დედოფლისწყაროს საგანძურის სრულად გამოფენას ვერ ახერხებს.

საბავშვო ბაღების აღჭურვა გრძელდება

მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების კომპიუტერით და ინტერნეტით აღჭურვა გრძელდება. როგორც დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრიდან გაზეთ „შირაქს“ აცნობეს, ამ ეტაპისთვის 5 საბავშვო ბაღს გადაეცა პერსონალური კომპიუტერი. ახალი სასწავლო წლიდან ახალი ტექნიკა მიიღო ზემო მაჩხაანის, არბოშიკის, გამარჯვების, არხილოსკალოს და საბათლოს ბაღების ადმინისტრაციამ. სააღმზრდელო ცენტრში ამბობენ, რომ გასულ კვირას პერსონალის გადამზადებაც დაიწყო.

20 სექტემბრიდან დედოფლისწყაროს პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის დაფინანსებით საბავშვო ბაღების მენეჯერთათვის კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ტრენინგ-კურსი დაიწყო.

საბავშვო ბაღების თანამშრომლები იმ რთულ წლებს იხსენებენ, სადაც მათ მრავალი წლის განმავლობაში უხდებოდათ მუშაობა.

„ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლამდე საბავშვო ბაღების ნაწილში ელექტროენერგიაც არ იყო და კომპიუტერებით აღჭურვას ვინ შეძლებდა. ძველი კარ-ფანჯრები და ამორტიზებული ინფრასტრუქტურა იყო. ახლა კი ყველა საბავშვო ბაღში ყოფითი პრობლემები გადაჭრილია, ყველანაირი პირობა გაუმჯობესებულია, ახლა შესაძლებელი გახდა ჩვენს ხელმძღვანელობას კომპიუტერულ ტექნიკაზე ეფიქრა და ეტაპობრივად ყველა ფილიალის აღჭურვა მოხდება. პროფკავშირის დახმარებით კურსები და მათთვის, ვინც კომპიუტერისა და ინტერნეტის მოხმარება არ იციან, სპეციალისტები გაკვეთილებს ატარებენ,“ - ამბობენ საბავშვო ბაღებში.

გამარჯვებაში სოფლის პროგრამის სამუშაოები მიმდინარეობს

სოფელ გამარჯვებაში ცენტრალური სკვერში სარეაბილიტაციო სამუშაოების კიდევ ერთი ეტაპი დასრულდა. სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხით სკვერში დამატებით დამონტაჟდა სკამები, დაემატა საბავშვო ატრაქციონი და სპორტული ტრენაჟორები. გადაიხურა იქ არსებული სავარჯიშო სივრცე. ამას გარდა, სკვერის გვერდით სპორტულ მოედანთან მიმდინარეობს კიბის მოწყობა. როგორც სოფელ გამარჯვებაში მერის რწმუნებულმა ზვიად ზვიადაურმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, სამუშაოები მოქალაქეთა მოთხოვნის მიხედვით დაიგეგმა. მისი განმარტებით, სკვერთან მიმდინარე სამუშაოების გარდა სოფლის პროგრამით წელს გამარჯვების საბავშვო ბაღში არსებული ერთ-ერთი სველი წერტილის აღდგენა მოხერხდა.

როგორც ირკვევა, საბავშვო ბაღში პრობლემა შეექმნა ახლადმიშენებულ საპირფარეშოს, რომელსაც ამოქმედებიდან მალევე კედლები გაეხსნა და უსაფრთხოების მიზნით გააუქმეს. ამ დროისთვის პრობლემა აღმოფხვრილია.

„ადრე საბავშვო ბაღში ერთი სველი წერტილი იყო და ორივე ასაკობრივი ჯგუფი სარგებლობდა. სტანდარტის მიხედვით, ჯგუფებს ცალ-ცალკე უნდა ჰქონოდათ. პანდემიამდე ბაგის ჯგუფისთვის გაკეთდა ცალკე სანიტარული კვანძი, რომელმაც ცოტა ხანს იმუშავა, შემდეგ კედელი გაიხსნა. ამის გამო რამოდენიმე წელი ისევ უმოქმედო იყო. ამჯერად, წლევანდელ სოფლის პროგრამაში ჩასვეს და უკვე დასრულდა სველი წერტილის რეკონსტრუქცია. მოხდა ამორტიზებული ოთახის რკინის კონსტრუქციებით გამყარება, გალესვა. ახალი სასწავლო წლიდან უკვე ამოქმედდა კიდევ ერთი საპირფარეშო. მადლობა მერიას პრობლემის აღმოფხვრისა და მხარდაჭერისთვის,“ - აცხადებს სოფელ გამარჯვების საბავშვო ბაღის მენეჯერი **ოლღა ბაბაკიშვილი**.



შეგახსენებთ, სოფელ გამარჯვების ყოფილი კულტურის სახლის ეზოში ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილის ინიციატივით მოხალისეობრივად ჯერ კიდევ 2019 წელს მოეწყო დასასვენებელი რეკრეაციული სივრცე. სწორედ მოქალაქეობრივი ინიციატივის ფარგლებში, მოხალისეობრივად რამდენიმე ადგილობრივმა ნანგრევებადქცეული გაუქმებული კულტურის სახლის ეზოში მდებარე ნაძვნარი ნაგვისგან გაწმინდა და დასასვენებელი სკამები საკუთარი ხელით მოაწყო. შემდეგ კი დედოფლისწყაროს მერია მათ დაპირდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ეზოს მთლიანად კეთილმოაწყობდა და საბავშვო ატრაქციონებს დაამონტაჟებდა.

„კულტურის სახლის შენობის მიმდებარე ნაძვნარი მას შემდეგ უპატრონოდ იყო მიტოვებული, რაც ეს შენობა გაპარტახდა და უფუნქციოდ დარჩა. ჯერ ადგილობრივი ძალებით მოეწყო აქ სკამები და გასართობი აქტივობებისთვის სივრცეები, ყველა ასაკის ადამიანი მოდიოდა და ისვენებდა. შემდეგ კი, როცა მერიამ ამ ინიციატივის შესახებ შეიტყო, დედოფლისწყაროს მერი გვესტუმრა და კუსტარულად გაშენებული სკვერი დაათვალიერა. ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაგვპირდა, რომ სათანადო დონეზე მოაწყობდა ამ სკვერს და ჩვენს ჩანაფიქრს ბოლომდე ხორცს შეასხამდა. რა თქმა უნდა, კმაყოფილები ვართ, რადგან ბევრად უფრო გაუმჯობესებული სივრცე მივიღეთ. როცა ეს სკვერი გაიხსნა, სკამები მხოლოდ ატრაქციონებთან იყო, ახლა კი მთელ სიგრძეზე დამონტაჟდა. სოფლის კრებებზე მოსახლეობამ დააფიქსირა თხოვნა, რომ სოფლისთვის გამოყოფილი თანხა ამ სკვერს მოხმარებოდა და შეგვევსო,“ - აღნიშნავენ სოფელ გამარჯვებაში.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

„სწავლება საინტერესო მოგზაურობაა...“

გაზეთი „შირაქი“ აგრძელებს თქვენთვის წარმატებული ახალგაზრდების გაცნობას. ახალგაზრდების, რომლებიც საკუთარი მონდომებით, შრომისმოყვარეობითა და ენთუზიაზმით ყველაფრის აღწევენ. ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი სულ რაღაც 20 წლის ასაკში გახდა მასწავლებელი. ის თბილისში, წმ.ბარბარეს სახელობის სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობს. ფიქრობს, რომ „სწავლება არის ინვესტიცია მომავალში. თითოეული მოსწავლე წარმოადგენს მომავალ ლიდერს, ნოვატორს ან რეფორმატორს. მათი განათლების დონის ამაღლებით ჩვენ ვაყალიბებთ უკეთეს სამყაროს, რომელშიც ხვალ ვიცხოვრებთ“. წარმოგიდგენთ ჯაბა ჯამასპიშვილს, რომელიც გაზეთ „შირაქს“ მის მიერ არჩეულ პროფესიაზე, მოსწავლეებთან ურთიერთობაზე, მასწავლებლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებსა თუ სხვა საინტერესო თემებზე ესაუბრა.

-მოგვიყევი შენს შესახებ. ვინ არის ჯაბა ჯამასპიშვილი?

ჯაბა ჯამასპიშვილი არის ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს მთელი ცხოვრების მანძილზე მიიჩნევს მოსწავლედ, რომელიც მუდმივად ვითარდება განათლების, პირადი გამოცდილებისა და მნიშვნელოვანი კავშირების მეშვეობით. დავიბადე და გავიზარდე ზემო მაჩხაანში. აქ დაიწყო და საფუძველი ჩაეყარა ჩემი პიროვნების ფორმირებას. ადრეული ასაკიდან არაერთ კონკურსსა თუ პროექტში ჩართვამ, გამარჯვებამ თუ მარცხმა ბევრი რამ მასწავლა. მე ყოველთვის აღვიქვამდი განათლებას, როგორც უფრო მეტს, ვიდრე აკადემიური მიღწევების სერიას - ეს არის ხიდი, რომელიც აკავშირებს ადამიანებს, კულტურებსა და თაობებს.

ბავშვობიდან ბევრი პროფესია მიზიდავდა, განსაკუთრებით უცხო ენები. ამან მიბიძგა გავმხდარიყავი კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი ევროპისმცოდნეობის განხრით, სადაც ამჟამად მესამე კურსზე ვარ. უნივერსიტეტში გატარებულმა წლებმა მომცა საშუალება გამომეკვლია ის საკითხები, რომლებიც ყოველთვის მაინტერესებდა - საერთაშორისო ურთიერთობების დინამიკა, ევროპული ინტეგრაცია, ისტორიის ცოდნის ძალა, თანასწორობისა და სამართლიანობის როლი თანამედროვე საზოგადოებებში და სხვა. განათლება იყო ჩემი ცხოვრების გზამკვლევი და ვამაყობ, რომ მქვია მასწავლებელი. მასწავლებლობა ჩემთვის მხოლოდ პროფესია არ არის - ეს მოწოდებაა.

დატვირთული გრაფიკის მიუხედავად აქტიურად ვარ ჩართული სხვადასხვა ინიციატივებში, რომლებიც ასახავს ჩემს უფრო ფართო მიზნებს. როგორც კავკასიის უნივერსიტეტის თანასწორობის კლუბის ვიცე პრეზიდენტი, ვცდილობ შევქმნა სამართლიანი, ინკლუზიური და ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების გარემო. ჩემი ჩართულობა საქართველოს თანასწორობის ასოციაციაში, მათ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში, საშუალებას მაძლევს გავაძლიერო ეს იდეალები - სოციალური სამართლიანობის ადვოკატირება და საზოგადოებაში ხელშესახები ცვლილებებისკენ სწრაფვა - უფრო ფართო მასშტაბით. მოკლედ, მე ვარ ადამიანი, რომელსაც ღრმად სწამს ცოდნის, კომუნიკაციისა და სამართლიანობის ძალის.

-როგორც ვიცი, პირველი ნაბიჯი გადადგი სწავლების სამყაროში და მასწავლებელი გახდი. როგორ მოხვედი აქამდე? მოგვიყევი შენი პირველი ნაბიჯების შესახებ.

მასწავლებლობა არ იყო გადაწყვეტილება, რომელიც ერთ ღამეში მივიღე - ეს იყო განათლებისადმი ღრმად ფესვგადგმული ინტერესის შედეგი, რამაც ჩამოაყალიბა ჩემი სურვილი, წვლილი შემეტანა სწავლების პროცესში. ჩემი საგნის სწავლების მიმართულებად ინგლისური ენა ავირჩიე, რადგან მივხვდი ენის, როგორც კომუნიკაციის, კავშირისა და ზრდის უზარმაზარ მნიშვნელობას. პატარა ასაკიდან მხიბლავდა, თუ როგორ შეუძლია ენას გადალახოს უფსკრული კულტურასა და იდეებს შორის და მინდოდა, ეს სხვებისთვისაც გამეზიარებინა. გარდამტეხი მომენტი იყო, როდესაც მონაწილეობა მივიღე ინგლისური ენის სხვადასხვა ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით და ზედიზედ ორჯერ გავიმარჯვე. გასულ წელს დავიწყე აბიტურიენტების მომზადება ინგლისურ ენაში, დავეხმარე მათ უცხო ენაში ცოდნის გაუმჯობესებასა და გამოცდებისთვის მომზადებაში. სწორედ ამ პერიოდში გამიჩნდა ღრმა კმაყოფილების გრძნობა, რომელიც სხვის აკადემიურ და პიროვნულ ზრდაში დახმარებისგან მოვიდა.

ჩემი ფორმალური გზა განათლების გადაცემის მიმართულებით დაიწყო წელს, როდესაც მასწავლებლის საგნის გამოცდა ჩავაბარე ინგლისურ ენაში და უნივერსიტეტიდან ოფიციალურად მივიღე C1 დონის დამადასტურებელი დოკუმენტი. მალევე გავაგზავნე ჩემი რეზიუმე სხვადასხვა სკოლაში და სულ რაღაც 20 წლის ასაკში აღმოვჩნდი საკლასო ოთახში მასწავლებლის ამპლუაში. ჩემი კარიერის ამ ადრეულ ეტაპებზე გავიაზრე, რომ მასწავლებლობა არის პროფესია, რომელიც მოითხოვს თანაგრძნობას, ადაპტირებას და ნამდვილ სურვილს, მასწავლებელმა იხილოს საკუთარი მოსწავლეები წარმატებული. ყოველ გაკვეთილს ვუდგები როგორც ცნობისმოყვარეობის გაღვივების, დამოუკიდებელი აზროვნების წახალისებისა და ჩემი მოსწავლეების პოტენციალის რეალიზებაში დახმარების შესაძლებლობას. ამ პირველმა ნაბიჯებმა არა მარტო ჩამომაყალიბა, როგორც მასწავლებელი, არამედ დაადასტურა ჩემი რწმენა, რომ განათლება არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ინსტრუმენტი, რომელიც მომავლის ჩამოსაყალიბებლად გვაქვს.

-რა გახდა მოტივაცია, რომ პედაგოგი გამხდარიყავი? კონკრეტული მოვლენა თუ პიროვნება გახდა ამ გადაწყვეტილების მიზეზი?

ჩემი შთაგონების წყარო ბებიაა, რომელიც ათწლეულების განმავლობაში არის სკოლის ერთგული მასწავლებელი, ასევე ინგლისურის მიმართულებით. როცა გავიზარდე, ხშირად ვხედავდი, რომ დაუღალავად მუშაობდა და ყველაფერს აკეთებდა თავისი წილი აგური დაედო მოსწავლეების განვითარების რთულ პროცესში. ხშირად მიზიარებდა ისტორიებს თავის მოსწავლეებზე. ის ჩემთვის არ იყო მხოლოდ მასწავლებელი - ის იყო მენტორი, მეგზური და საყრდენი. განათლებისადმი მისმა გატაცებამ და მოსწავლეებთან პიროვნულ დონეზე დაკავშირების უნარმა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მიუხედავად იმისა, რომ ბებიის გავლენა იყო საფუძველი, ჩემმა გამოცდილებამ გაძლიერა გადაწყვეტილება, გავმხდარიყავი მასწავლებელი. ჩემი მოსწავლეების პროგრესის ყურებამ და მათი თავდაჯერებულობის მატებამ, როდესაც ისინი ახალ კონცეფციას ეუფლებოდნენ, ახალი მიზნების დასახვისკენ მიბიძგა. მივხვდი, რომ მხოლოდ საგნის სწავლება კი არ არის მთავარი, არამედ, მოსწავლეების შთაგონება, მათი ზრდისა და ცხოვრებაში წარმატების მიღწევისთვის ხელშეწყობა.

-რატომ მასწავლებლობა და ბავშვებთან კომუნიკაცია?

ბავშვების სწავლება და მათთან კომუნიკაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გზა, რომლის არჩევა შემეძლო არა მხოლოდ აწმყოზე გავლენის გამო, არამედ მისი გადამწყვეტი როლის გამო მომავლის ფორმირებაში. ბევრი თვალსაზრისით, მასწავლებლობა ჰგავს იმ ნერგზე ზრუნვას, რომელიც ერთ დღეს ჩვენზე ბევრად მაღალი და ძლიერი გახდება. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ეს პროფესია ავირჩიე, არის პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მას მოაქვს. ეს „ახალგაზრდა გონებები“ ჯერ კიდევ აყალიბებენ თავიანთ იდეებს სამყაროს შესახებ და, ჩვენ, როგორც განმანათლებლები, გადამწყვეტ როლს ვთამაშობთ მათი კრიტიკული აზროვნების, თანაგრძნობისა და გამძლეობის განვითარებაში. ჩვენ არ ვასწავლით მხოლოდ ისეთ საგნებს, როგორიცაა ინგლისური ან მათემატიკა - ჩვენ ვეხმარებით იმ ადამიანების ჩამოყალიბებას, რომლებიც საბოლოოდ გავლენას მოახდენენ საზოგადოებაზე და წაახალისებენ ინოვაციებს. ბავშვების სწავლებით, ჩვენ უშუალო წვლილი შეგვაქვს უკეთესი, უფრო მოაზროვნე და უფრო თანამგრძნობი საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ასევე არის რაღაც წარმოუდგენლად ენერგიული ბავშვებთან მუშაობაში. მათი ცნობისმოყვარეობა უსაზღვროა, მათი ენთუზიაზმი გადამდებია და სწავლისადმი ღიაობა გამამხნევებელია. ყოველდღე მახსენდება, რომ ბავშვებს აქვთ უნიკალური პერსპექტივა სამყაროში, რომელიც სავსეა საოცრებებითა და შესაძლებლობებით. არაფერია იმაზე უკეთესი, როდესაც შეგიძლია გააჩინო ეს ცნობისმოყვარეობა და დაეხმარო ახალგაზრდებს თავად აღმოაჩინონ სამყარო.

უფრო მეტიც, მე მჯერა, რომ დღევანდელ კლასებში უფრო მეტი ახალგაზრდა მასწავლებელი გვჭირდება. განათლების სფერო სწრაფად ვითარდება და აუცილებელია ისეთი მასწავლებლების ყოლა, რომლებიც შეესაბამება საზოგადოების ცვალებად საჭიროებებს, ტექნოლოგიებს და გლობალურ საკითხებს. ახალგაზრდა მასწავლებლებს მოაქვთ ახალი პერსპექტივები, ახალი ენერგია და ღრმა გაგება იმ გამოწვევებისა და შესაძლებლობების, რომლებსაც დღევანდელი მოსწავლები აწყდებიან. ჩვენ შეგვიძლია გადავლახოთ უფსკრული თაობებს შორის და გავხადოთ სწავლა უფრო აქტუალური, ხელმისაწვდომი და საინტერესო. ჩვენი ასაკი საშუალებას გვაძლევს უფრო მჭიდროდ დავუკავშირდეთ მოსწავლეებს და რეალური გავლენა მოვახდინოთ მათი სწორი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ჩვენ ვაყალიბებთ უკეთეს სამყაროს, რომელშიც ხვალ ვიცხოვრებთ. ეს არის პასუხისმგებლობა, რომელსაც სერიოზულად ვეკიდები და როლი, რომელსაც ვიღებ როგორც სიამაყით, ასევე თავმდაბლობით.

-როგორ ფიქრობ, რამდენად მარტივია ჩასწვდე ბავშვის შინაგან სამყაროს და დაამყარო მასთან კომუნიკაცია?

ბავშვის შინაგანი სამყაროს გააზრება და ეფექტური კომუნიკაციის დამყარება ერთდროულად შრომატევადი და დელიკატური პროცესია. ეს ყოველთვის ადვილი არ არის, თუმცა, მასწავლებლობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ბავშვები კომპლექსურები არიან - ისევე როგორც უფროსებს, მათ აქვთ საკუთარი უნიკალური პერსპექტივები, ემოციები და გამოწვევები. მათთან დაკავშირების გასაღები მდგომარეობს მოთმინებაში, თანაგრძნობაში და გულწრფელ სურვილში, მოუსმინო იმას, რასაც ისინი ამბობენ, მაშინაც კი, როდესაც პირდაპირ არ საუბრობენ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც როგორც მასწავლებელმა ვისწავლე, არის ის, რომ ყველა ბავშვი განსხვავებულია. ზოგი ექსტროვერტია და სურს თავისი აზრების გაზიარება, ზოგი კი შეიძლება იყოს უფრო თავშეკავებული, სჭირდებოდეს დრო და წახალისება, რათა თავი კომფორტულად იგრძნოს. ბავშვის შინაგანი სამყაროს ჭეშმარიტად გასაგებად, ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა შევქმნათ ნდობის გარემო. ეს ნიშნავს, აჩვენო მათ, რომ მათ ხმას აქვს მნიშვნელობა, რომ მათი გრძნობები მართებულია და რომ ისინი იმყოფებიან უსაფრთხო სივრცეში, სადაც არ განიკითხავენ. ვცდილობ, ჩემს მოსწავლეებს ვაჩვენო, რომ მე არ ვარ მხოლოდ იმისთვის, რომ ვასწავლო მათ ინგლისური ან ვუხელმძღვანელო მათ გაკვეთილების განმავლობაში - მე ვარ იქ იმისთვის, რომ მხარი დავუჭირო მათ, მოვუსმინო. რამდენიმე დღის წინ ჩემმა ერთ-ერთმა მოსწავლემ მკითხა, შეეძლო თუ არა ჩამხუტებოდა. მისი სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მასწავლებელი უყვარდა, აქამდე არავის ჩახუტებია. ეს მომენტი იყო შეხსენება, რომ კომუნიკაცია ყოველთვის ყალიბდება ჩვენი სწორი სიტყვებითა და მოქმედებებით. როგორც მასწავლებლები, მნიშვნელოვანია ვიყოთ დაკვირვებულნი, ამოვიცნოთ გზები, რომლითაც ბავშვები აზიარებენ თავიანთ აზრებს და გრძნობებს. ემპათია საშუალებას გვაძლევს შევიდეთ მათ გონებაში, ვცადოთ და დავინახოთ სამყარო მათი პერსპექტივიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის თანმიმდევრულობა. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მათ გვერდით ვართ, არა მხოლოდ კონკრეტულ მომენტებში, არამედ თანმიმდევრულად, დროთა განმავლობაში. ეს საიმედოობა აყალიბებს ნდობას, რაც არის საფუძველი მნიშვნელოვანი კომუნიკაციისთვის.

-როგორი მოლოდინებით შეხვედი ამ სფეროში და რა რეალობის წინაშე აღმოჩნდი?

როცა სწავლება დავიწყე, მღელვარებისა და ნერვიულობის ნაზავი მქონდა. მოუთმენლად ველოდებოდი, რომ შემექმნა სათანადო გარემო და გამეზიარებინა ის, რაც ვიცოდი. თუმცა, მეც ცოტა დაუცველად ვგრძნობდი თავს, რადგან ჩემს მოსწავლეებზე მხოლოდ რამდენიმე წლით უფროსი ვიყავი და ვნერვიულობდი, როგორ მიმიღებდნენ, როგორც მასწავლებელს. ქართულ რეალობაში არც ისე ხშირია გყავდეს მასწავლებელი, რომელიც სულ რაღაც სამი წლის წინ თავად იყო მოსწავლე და ვღელავდი, ჩემი მოსწავლეები სერიოზულად მიმიღებდნენ თუ არა. მაწუხებდა, როგორ დამემკვიდრებინა თავი და ხომ არ მიიჩნევდნენ პატარა ასაკს ჩემს სისუსტედ. თუმცა, სწრაფად აღმოვაჩინე, რომ ახალგაზრდა მასწავლებელს თავისი უპირატესობა ჰქონდა. იმის გამო, რომ თვითონ ვიყავი ცოტა ხნის წინ მოსწავლე, მივხვდი, რას განიცდიდნენ. შევძელი მათ საზრუნავის და მღელვარების გაგება. ჩემმა ასაკმა საშუალება მომცა კლასში უფრო მშვიდი და მეგობრული ატმოსფერო შემექმნა.

კლასში შესვლამდე ვფიქრობდი, რომ სწავლება ძირითადად ცოდნის გაზიარებასა და მოსწავლეებისთვის სწავლაში დახმარებას გულისხმობდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ეს ასევე ეხება ემოციურ მხარდაჭერას. მივხვდი, რომ უფრო მეტი უნდა ვყოფილიყავი, ვიდრე უბრალოდ ადამიანი, რომელიც ატარებს გაკვეთილებს.

ზოგადად, სწავლების სამყაროში შევედი ცოდნის გაზიარების მოლოდინით, მაგრამ რეალობამ მაჩვენა, რომ სწავლება არის ურთიერთობების დამყარება და ნდობის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ ვნერვიულობდი ახალგაზრდობაზე, ახლა მას ვხედავ, როგორც ძალას, რომელიც მეხმარება მნიშვნელოვანი გავლენა მოვახდინო ჩემი მოსწავლეების ცხოვრებაზე.

-როგორც შენ სოციალურ ქსელში აღნიშნე, ეს გზა შენთვის საინტერესოსთან ერთად, გამოწვევაცაა. რას გულისხმობ, რა გამოწვევებთან ასოცირდება ის შენთვის?

სწავლება ნამდვილად საინტერესო მოგზაურობაა, მაგრამ მას გამოწვევებიც ახლავს თან. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომელსაც ვხვდები, მოსწავლეების განსხვავებული საჭიროებებია. ყველა ბავშვი უნიკალურია, თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით. ზოგიერთი მოსწავლე სწრაფად აცნობიერებს ცნებებს და ბარიერებს, ზოგს კი ეს შეიძლება გაუჭირდეს. თითოეული მოსწავლის ინდივიდუალურად მხარდაჭერის გზების პოვნა შეიძლება რთული იყოს. უნდა მოვიფიქრო კრეატიული გზები, რათა ავხსნა საგაკვეთილო მასალა ისე, რომ ყველამ გაიგოს. კიდევ ერთი გამოწვევა საკლასო დისციპლინის შენარჩუნებაა. ზოგჯერ, მოსწავლეებს შეუძლიათ ადვილად გადაიტანონ ყურადღება ან შეიძლება სერიოზულად არ მიიღონ გაკვეთილები. შეიძლება რთული იყოს მათი ყურადღების შენარჩუნება და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნა. მივხვდი, რომ მკაფიო წესებისა და მოლოდინების დადგენა თავიდანვე მეხმარება, მაგრამ მაინც მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ყველა იყოს კონცენტრირებული და ჩართული.

ემოციური გამოწვევები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლებაში. ბევრი მოსწავლე აწყდება

/გაგრძელება გვ.6/

„პატრიოტიზმი დროშებით სიარულს და ხმამაღლა საუბარს არ ნიშნავს, პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი“

ენდოკრინოლოგი ზურაბ რობიტაშვილი გასულ კვირას „დედოფლისწყაროობაზე“ დაავჯილდოვეს როგორც დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე. ერთ-ერთი ცნობილი კლინიკა „ენმედიცის“ კლინიკური დირექტორია. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი წელია დედოფლისწყაროდან წასულია, მშობლიური კუთხე მისთვის ბავშვობასა და ტკბილ მოგონებებთან ასოცირდება, ამიტომაც მიიჩნევს, რომ მისთვის ეს სტატუსი ბევრს ნიშნავს.

ზურაბ რობიტაშვილი: „1961 წლის 17 იანვარს დავიბადე. სხვათაშორის, დაბადების ადგილად თელავის რაიონის სოფელი ნაფარეული მიწერია, მაგრამ იქ არ მიცხოვრია. ბავშვობა ზემო მაჩხაანში გავატარე. თელავიდან დედაჩემი იყო, მამა კი ზემო მაჩხაანიდან. შემდეგ მამაჩემი, რომელიც ზოოტექნიკოსად მუშაობდა, დედოფლისწყაროში გადაიყვანეს და ამის გამო მშობლებთან ერთად მე და ჩემი და ქალაქ დედოფლისწყაროში გადავედით საცხოვრებლად. პირველივე კლასიდან ქალაქ წითელწყაროს №1 სკოლაში შევედი და 10 წელი იქ გავატარე. ასევე წითელწყაროს ფეხბურთის რაიონულ ნაკრებშიც ვთამაშობდი. სკოლამ ყველაფერი მომცა, მასწავლა პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სწავლის სიყვარული. ეს ყველაფერი ადამიანის ჩამოყალიბებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ძალიან დიდ პატივს ვცემ ჩემს მასწავლებლებს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთ სკოლაში მოვხვდი. საოცარი კლასის დამრიგებელი გვყავდა, ქალბატონი ლამარა მატიაშვილი, სკოლის დირექტორი კი ქეთევან ჯორკოშვილი. კარგად ვიხსენებ ცისანა მჭედლიშვილს, თამარ თარაშვილს, ნათელა ნანობაშვილს, ნანული ნატროშვილს. ყველა მასწავლებელს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ სულ ვამბობ ხოლმე, იღბლიანი ადამიანი ვარ, რომ ამ სკოლაში მოვხვდი, ასეთი კლასი მყავდა და სწორედ ამ გარემოში გავიზარდე. ოქროს მედალზე დავამთავრე სკოლა და ეს ცოდნა შემდეგში ძალიან გამომადგა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალაქის პირველ სკოლას, რადგან აქ ვისწავლე უფროსის პატივისცემა, დამჯერობა. იმ პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სწავლას, მეტი მოთხოვნა და სიმკაცრე იყო. შემდეგ უკვე გულდასაწყვეტი ვითარება იყო განათლების სისტემაში. პატრიოტიზმი დროშებით სიარულს და ხმამაღლა საუბარს არ ნიშნავს. ასე ქვეყანას ვერ გამოადგები. პირველ რიგში პროფესიონალიზმია პატრიოტიზმი. რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობდე, უმთავრესია პროფესიონალიზმი და სწორედ ასე შეგიძლია გამოადგე სამშობლოს და სარგებელი მოუტანო შენს ხალხს.

— ***პროფესიული არჩევანი როგორ გააკეთეთ და რა სპეციალობები მოგწონდათ?***

— ყოველთვის ხაზს ვუსვამ ხოლმე, რომ ამ პროფესიაზე არ მიფიქრია. სკოლაში მათემატიკური ნიჭით გამოვირჩეოდი, ძლიერი ვიყავი ამ მიმართულებით და ჩემი მათემატიკის მასწავლებლები გადარეულები იყვნენ ჩემი უნარით. სხვა პროფესიის არჩევაზე არ დავფიქრებულვარ, არც სამედიცინოზე. რაკი მათემატიკა მიყვარდა, მათემატიკურზე ჩაბარებას ვაპირებდი. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე სხვა პროფესია მინდოდა. მაშინ ცნობილი მათემატიკოსი დავით გონდაური საქართველოს ტელევიზიით თამაზ კვაჭანტირაძესთან ერთად ტელეგაკვეთილებს ატარებდა და მან დიდი გავლენა იქონია ჩემზე. ამდენად, მთლიანად მათემატიკით ვიყავი მოცული. 1978 წელს, სკოლა რომ დავამთავრე ამ პერიოდში ძალიან პოპულარული იყო სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა. თავდაპირველად დედაჩემის იდეა იყო, რომ სამედიცინოზე ჩამებარებინა. ამის შესახებ რამდენიმე ნათესავს, რომელიც სამედიცინო სფეროში მუშაობდა, რჩევა ვკითხე და მალევე გადავწყვიტე ჩამებარებინა. მაშინ ისე იყო, რომ ოქროს მედალოსნები მხოლოდ ერთი გამოცდით ირიცხებოდნენ ინსტიტუტში, თუ გამოცდას ფრიადზე ჩააბარებდი. შაბათ-კვირას თბილისში დავდიოდი და კომაროველებთან ერთად ფიზიკაში ვემზადებოდი. ბიძაჩემი მამეცადინებდა და ურთულესი ამოცანები მომცა სავარჯიშოდ. როცა წარმატებით ამოვხსენი და მივუტანე, გაოცდა კაცი. ფიზიკის ამოცანები ამოვხსენი მათემატიკურად. სხვათაშორის, მისაღებ გამოცდაზეც 5-იანი მივიღე და ერთი გამოცდით ჩავირიცხე. ასე გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი. სხვათაშორის, ეს მათემატიკური აზროვნება სულ მეხმარება პაციენტებთან ურთიერთობაში. განსაკუთრებით დიაბეტიანი პაციენტების ინსულინის დოზებს და მონაცემებს ვიმახსოვრებ და როცა ყოველდღიურად ტელეფონზე მირეკავენ, უკვე ვიცი რა უნდა ვუპასუხო და როგორი დოზა დავუნიშნო. ინსტიტუტში კარგად ვსწავლობდი, წარჩინებული სტუდენტი ვიყავი. მხოლოდ ორი ოთხიანი მეწერა, დანარჩენი ხუთიანები მქონდა და წითელ დიპლომზე დავამთავრე. 6 წელი სტუდენტი ვიყავი. შემდეგ კი ინსტიტუტიდან განაწილებით აჭარაში წავედი. მაშინ ასე ხდებოდა, ამიტომ ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 7 წელი ბათუმში ვიმუშავე. კარგ კლინიკაში ვმოღვაწეობდი. პარალელურად წელიწადნახევარი სასწრაფო დახმარების ჯგუფშიც ვიმუშავე რომ მეტი პრაქტიკა მიმეღო.



1992 წლიდან თბილისში გადავედი, ჯერ კლინიკური ორდინატურის კათედრაზე, შემდეგ კლინიკის თანამშრომლად, უბნის ენდოკრინოლოგად. მოვხვდი პროფესორ დათო მეტრეველთან. ცნობილი ფაქტია, რომ ის ისე არ აიყვანს კადრს, თუ არ მოეწონა. მან კი კათედრაზე დამტოვა და ერთად მუშაობა შემომთავაზა. ფაქტობრივად მასთან გავიზარდე, პროფესიულად სწორედ მისი მეთვალყურეობის ქვეშ განვვითარდი და ამით ბედნიერი ვარ. 2011 წლიდან კი ენდოკრინოლოგია, მეტაბიოლოგია, დიეტოლოგიის ცენტრის, ანუ „ენმედიცის“ კლინიკური დირექტორი ვარ, ანუ სამკურნალო პროცესს ვკურირებ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემზე შეაჩერეს არჩევანი და შესაძლებლობა მაქვს დღეს იმ ადგილს ვიკავებდე, სადაც დიდი კორიფეები და მისაბაძი ადამიანები მუშაობდნენ. ეს ჩემთვის პატივიცაა და იმავდროულად დიდი პასუხისმგებლობაც.

— ***დღევანდელი გადასახედიდან, რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ცხოვრებით?***

— გულწრფელად გითხრათ, საკუთარი პროფესიული არჩევანითა და ცხოვრების განვლილი გზით კმაყოფილი ვარ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს. მსიამოვნებს რასაც ვაკეთებ და ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. საერთოდ, ექიმმა და მოსამართლემ შეცდომები არც კარიერის დასაწყისში უნდა დაუშვან, რომ ამით სხვა არ დააზარალონ. თუმცა, გამოცდილება მეტ პროფესიონალიზმს იძლევა და რაც დრო გადის, ადამიანი უფრო ვითარდება. ნათქვამია, თუ პაციენტი ექიმთან პირველივე შეხვედრის შემდეგ შვებას არ გრძნობს, ის ნამდვილი ექიმი არ არის. ბოლომდე ვეთანხმები ამ გამონათქვამს. დღეს მაგალითად მყავდა პაციენტი, რომელმაც თქვა, რომ გამთენიისას წამოვიდა ერთ-ერთი რეგიონიდან, რათა დილით ადრე მოეხერხებინა ჩემთან შემოსვლა. ეს და მსგავსი მაგალითები ცხადია სასიამოვნოა ჩემთვის. კმაყოფილმა პაციენტმა შეიძლება სანთელიც აგინთოს და მანქანაც გაჩუქოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში მადლიერების გამოხატვაა და ეს ექიმისთვის ყველაფერია. მე თუ მკითხავთ, ხალხის სამსახურში ყოფნა ყველაზე დიდი წოდებაა. მათი მადლიერება და დალოცვა სტიმულს მაძლევს და ამ კავშირს ყოველდღიურად ვგრძნობ. ეს სითბო და სიყვარული სიცოცხლეს მიხანგრძლივებს. რადგან ბევრი მადლიერი პაციენტი მყავს და სახელი მაქვს, ალბათ, ნდობა დავიმსახურე და მათი იმედი გავამართლე. ეს კი ხალხის დიდ სიყვარულს ნიშნავს.

— ***რამდენად ინარჩუნებთ კავშირს მშობლიურ კუთხესთან?***

— დედოფლისწყარო მთელი ჩემი ბავშვობაა და ყველაზე ტკბილი წლები სწორედ ამ რაიონს უკავშირდება. ამიტომაც განსაკუთრებული ემოციები და დამოკიდებულება მაქვს ამ კუთხის მიმართ, საიდანაც ჩემი ფესვებია. სამწუხაროდ, დედოფლისწყაროში ჩამოსვლას ხშირად ვერ ვახერხებ. მას შემდეგ, რაც სკოლა დავამთავრე და ინსტიტუტში ჩავაბარე, დედოფლისწყაროში აღარ მიცხოვრია. სახლი ისევ გვაქვს და პერიოდულად მიწევს ჩამოსვლა. ჩემი და უფრო ხშირად იცლის დედოფლისწყაროში წამოსასვლელად. მე სამწუხაროდ, ჩემი სამუშაო გრაფიკი არ მაძლევს შესაძლებლობას. მშობლები ზემო მაჩხაანის სასაფლაოზე არიან დაკრძალულნი. აღდგომას ჩამოვდივართ ხოლმე. ახლა ღონისძიებაზე რომ დამპატიჟეს და დედოფლისწყაროს ვეწვიე, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ შევედი ჩემს მშობლიურ სახლში. ცრემლი წამომივიდა, წლების შემდეგ რომ შევაღე ჩემი ბავშვობის სახლის კარი. დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ და ძალიან ემოციური იყო. ამას ისიც დაემატა, რომ ბავშვობის მეგობრები ვნახე, თანაკლასელებს შევხვდი, ბევრი ნაცნობი და დიდი ხნის უნახავი ადამიანი მოვიდა და ძალიან ემოციებით დატვირთული დავბრუნდი თბილისში. ეს განწყობა დიდხანს გამყვება.

— ***რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიური მუნიციპალიტეტის მხრიდან საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭება?***

— მადლობელი ვარ ჩემი საყვარელი დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქედ არჩევის გამო, სადაც გავატარე სკოლის პერიოდის წარუშლელი ათი წელი. ვერ წარმოვიდგენდი იმ სითბოს, რომელიც მივიღე რაიონის ხელმძღვანელობის, კლასელების, ძველი მეგობრების, მასწავლებლებისა და პაციენტების მხრიდან. ჩემთვის საამაყოა ჩემი სამშობლოს ნებისმიერი კუთხის საპატიო მოქალაქედ არჩევა, განსაკუთრებით რომელი კუთხიდანაც ვარ.

— ***როგორც მედიკოსი, რას ურჩევდით ჩვენს მკითხველს, რა რეკომენდაციებს გასცემთ?***

— ბოლო წლებში სტაბილურად იზრდება ენდოკრინოლოგიური პრობლემები. ეს მხოლოდ საქართველოს არ ეხება, მსოფლიოში იმატა. განსაკუთრებულ პრობლემად რჩება შაქრიანი დიაბეტი. ამიტომ მთავარი რეკომენდაცია, რასაც პირველ რიგში ვურჩევთ ადამიანებს, ესაა ჯანსაღი კვება და აქტიური ცხოვრება. როგორც წესი, პასიური ცხოვრების წესი, ჭარბი წონა, არაჯანსაღი კვება უდიდესი რისკ ფაქტორია დიაბეტის განვითარებისთვის. მითუმეტეს, თუ ამას მემკვიდრეობაც უწყობს ხელს და ოჯახში სხვა წევრები უკვე იყვნენ დიაბეტით ავად. ნორმის მიხედვით, ჯანსაღი ადამიანის სისხლში შაქრის დონე დილით უზმოზე უნდა იყოს 5-დან 6-მდე, ხოლო კვებიდან 2 საათის შემდეგ 8-ზე ნაკლები. თუ ეს ზღვარი დარღვეულია და მეტი მაჩვენებელი ფიქსირდება, აუცილებელია ენდოკრინოლოგთან ვიზიტი, რათა გამომწვევი მიზეზები დადგინდეს და გაირკვას, რასთან გვაქვს საქმე, რატომ შეიცვალა შაქრის დონე. დიეტა არავის არ უყვარს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ჭარბწონიანობა ბევრ პრობლემას ქმნის. ამიტომ, ადამიანმა ზედმეტი წონის კლებაზე მუდმივად უნდა იფიქროს, ეს ბევრ რამეს შეცვლის და გააუმჯობესებს თქვენს ორგანიზმსა და ცხოვრებაში.

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

„სწავლება საინტერესო მოგზაურობაა...“

/დასაწყისი გვ.4/

პირად პრობლემებს სკოლის გარეთ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მათ ქცევასა და დავალებების შესრულებაზე კლასში. როგორც მასწავლებელს, მსურს მათი მხარდაჭერა, მაგრამ ეს შეიძლება იყოს ემოციურად დამღლელი. ვცდილობ, ჩემი მოსწავლეების გვერდით ვიყო და ვაჩვენო, რომ მათი წუხილი მაინტერესებს, მაგრამ მათი საჭიროებების დაბალანსება ჩემს საჭიროებებთან შეიძლება ზოგჯერ რთული იყოს.

დროის მენეჯმენტი კიდევ ერთი გამოწვევაა, რომელსაც ხშირად ვაწყდები. გაკვეთილის დაგეგმვის, შეფასების და მასალების მომზადების პერიოდი, შეიძლება ძალიან ხანგრძლივი აღმოჩნდეს. მინდა, ჩემი მოსწავლეებისთვის მაქსიმუმი გავაკეთო, მაგრამ ასევე უნდა გამოვნახო დრო პირადი ცხოვრებისა და პასუხისმგებლობებისთვის, რადგან პარალელურად ვარ სტუდენტი, უნივერსიტეტის თანასწორობის კლუბის ხელმძღვანელი, საქართველოს თანასწორობის ასოციაციის თავმჯდომარე და ამავდროულად სახლში კერძოდ ვამზადებ აბიტურიენტებს. გამოწვევები მიბიძგებს ვიყო უკეთესი და ჩემი მოსწავლეების ზრდა და წარმატება ამ ყველაფერს ღირებულს ხდის.

-შენი აზრით, რა არის სწავლების ჭეშმარიტი არსი?

ჩემი აზრით, სწავლების ჭეშმარიტი არსი მდგომარეობს მოსწავლეების შთაგონების, დაკავშირების და გაძლიერების უნარში. ჩემი სწავლის განმავლობაში მე მქონდა პრივილეგია მესწავლა მრავალი მასწავლებლისგან, როგორც სკოლაში, ასევე უნივერსიტეტში. თითოეულმა მათგანმა წვლილი შეიტანა ჩემი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში, თუ როგორ გამოიყურება ეფექტური სწავლება და, რაც მთავარია, მასწავლეს როგორი მასწავლებელი უნდა ვიყო და როგორი არა. სწავლების ერთ-ერთი მთავარი ასპექტია უსაფრთხო და საინტერესო გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლეები გრძნობენ დაფასებას და პატივისცემას. დავინახე, რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის ნდობის ჩამოყალიბებისთვის ხელშეწყობა და ღია კომუნიკაციის წახალისება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ცნობისმოყვარეობის გაჩენის უნარი. სწავლების პროცესში ასევე გადამწყვეტია სწავლის სხვადასხვა სტილის გააზრება. ყველა მოსწავლე განსხვავებულად სწავლობს და ჩემი სწავლების მეთოდების ადაპტირება ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია. სწავლების მოქნილი სტრატეგიები მასწავლებელს ეხმარება ყველა მოსწავლეს ჰქონდეს წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა. სწავლების ჭეშმარიტი არსი არის მოსწავლეების შთაგონება, დაკავშირება და გაძლიერებაა.

-რა თვისებების მფლობელი უნდა იყოს კარგი პედაგოგი?

კარგ მასწავლებელს აქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი თვისება, რაც ხელს უწყობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას. უპირველეს ყოვლისა, მათ უნდა ჰქონდეთ ენთუზიაზმი, რაც შთააგონებს მოსწავლეს სწავლისთვის. მოთმინება აუცილებელია, რადგან თითოეული მოსწავლე სწავლობს საკუთარი ტემპით და მომთმენ მასწავლებელს შეუძლია მხარი დაუჭიროს მათ გამოწვევებში. ასევე გადამწყვეტია თანაგრძნობის უნარი. მოსწავლეთა გრძნობების გაგება ხელს უწყობს ძლიერი კავშირების დამყარებას. კარგ მასწავლებლებს სჭირდებათ კომუნიკაციის ძლიერი უნარი, რათა ნათლად ახსნან იდეები, მოუსმინონ მოსწავლეებს. ისინი უნდა იყვნენ ადაპტირებადნი, მზად იყვნენ შეცვალონ სწავლების მეთოდები სხვადასხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ასევე მნიშვნელოვანია კრეატიულობა. სახალისო და საინტერესო გაკვეთილების გეგმები მოსწავლეების ჩართულობას ზრდის. ორგანიზაციული უნარები ეხმარება მასწავლებლებს ეფექტურად მართონ დრო და კლასი. კარგი მასწავლებელი უწყვეტი სწავლის ერთგულია, ყოველთვის ეძებს ახალ იდეებსა და სტრატეგიებს სწავლების გასაუმჯობესებლად. კარგი მასწავლებელი აერთიანებს მოთმინებას, თანაგრძნობას, კომუნიკაციას, ადაპტირებას, კრეატიულობას, ორგანიზებულობას, სწავლისადმი ერთგულებას, პატივისცემას, თავდადებას, ძლიერ მენეჯმენტსა და მოქნილობას, რათა დადებითად იმოქმედონ თავიანთი მოსწავლეების განათლებაზე.

-როგორ ფიქრობ, რა გზა უნდა გაიარო, რომ შენს წარმოდგენაში არსებული იდეალური მასწავლებლი გახდე?

იმისათვის, რომ გავხდე იდეალური მასწავლებელი, ვფიქრობ, ყურადღება უნდა გავამახვილო პიროვნული და პროფესიული განვითარების რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მუდმივი განვითარება. სწავლების უახლესი მეთოდები, საგანმანათლებლო ტექნოლოგიები და ინფორმაციული განახლება გადამწყვეტია. ჩემი ცოდნისა და უნარების გასაუმჯობესებლად, ვგეგმავ პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს, როგორიცაა სემინარები, ონლაინ კურსები და კონფერენციები. ჩემს პრაქტიკაში საგანმანათლებლო ლიტერატურის და კვლევების ჩართვა ასევე დამეხმარება კლასში საუკეთესო პრაქტიკის დანერგვაში. ასევე, ჩემს მოსწავლეებთან ძლიერი ურთიერთობების დამყარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, მსურს მივიღო უკუკავშირი, როგორც მძლავრი ინსტრუმენტი ზრდისთვის. ჩემი მოსწავლეების, კოლეგებისა და მენტორებისგან უკუკავშირის მოძიებით, შემიძლია მივიღო ღირებული ცოდნა სწავლების პრაქტიკის შესახებ. კონსტრუქციული კრიტიკა დამეხმარება ჩემი მიდგომის დახვეწაში. საბოლოოდ, გზა იმისა, რომ გავხდე იდეალური მასწავლებელი, მოიცავს მუდმივ განვითარებას, ძლიერი ურთიერთობების დამყარებას, უკუკავშირის მიღებას, შემოქმედებითობის განვითარებას, ბალანსის შენარჩუნებას და ჩემი მოსწავლების ადვოკატირებას.

-რას ურჩევდი მომავალ ახალგაზრდა და ახალბედა პედაგოგებს?

მომავალ ახალგაზრდა და ახალბედა მასწავლებლებს, რამდენიმე რჩევას მივცემდი, რომლებიც, ვფიქრობ, დაეხმარებათ სწავლების მომხიბვლელ, მაგრამ რთულ გზაზე:

იყავით მომთმენი საკუთარ თავთან - სწავლება არის უნარი, რომლის განვითარებასაც დრო სჭირდება. ნუ იქნებით ძალიან მკაცრი საკუთარი თავის მიმართ, თუ ყველაფერი მყისვე იდეალურად არ წავა. თითოეული გამოცდილება, იქნება ეს დადებითი თუ უარყოფითი, ხელს უწყობს თქვენი, როგორც მასწავლებლის განვითარებას. დაამყარეთ ძლიერი ურთიერთობები - ფოკუსირება მოახდინეთ თქვენს მოსწავლეებთან პოზიტიური კავშირების დამყარებაზე. დაუთმეთ დრო, რომ გაეცნოთ მათ, როგორც ინდივიდებს, გააცნობიეროთ მათი ინტერესები და მოუსმინოთ მათ პრობლემებს.

იყავი ღია უკუკავშირისთვის - კონსტრუქციულმა კრიტიკამ შეიძლება მოგაწოდოთ ღირებული ინფორმაცია თქვენი სწავლების მეთოდების შესახებ და დაგეხმაროთ საკუთარი თავის გაუმჯობესებაში. იყავით ღია ახალი

მიდგომებისადმი და თქვენი მოსწავლეების საჭიროებებზე სტრატეგიების მორგებისთვის.

იყავით მოქნილები - საკლასო გარემო დინამიკურია და ყველაფერი შეიძლება ყოველთვის ისე არ მოხდეს, როგორც დაგეგმილია. მოქნილობა საშუალებას მოგცემთ ეფექტურად უპასუხოთ მოსწავლეების საჭიროებებს.

იყავით ინფორმირებული და მოერგეთ თანამედროვე რეალობას - თვალი ადევნეთ საგანმანათლებლო კვლევებსა და ტენდენციებს. სწავლების ახალი მეთოდების, ტექნოლოგიებისა და საგანმანათლებლო პოლიტიკის შესახებ ინფორმირებულობა დაგეხმარებათ უზრუნველყოთ თქვენი მოსწავლეებისთვის სწავლის საუკეთესო გამოცდილება.

გჯერდეთ თქვენი გავლენის - გახსოვდეთ, რომ თქვენ გაქვთ ძალა, შეცვალოთ თქვენი მოსწავლეების ცხოვრება. თითოეული პოზიტიური ურთიერთქმედება, წახალისება ან ინფორმაცია, რომელსაც თქვენ აწვდით, ხელს უწყობს მათ ზრდას.

არასოდეს შეწყვიტო სწავლა - და ბოლოს, მიუდექი სწავლებას, როგორც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის აუცილებლობას. მოძებნეთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობები, დაფიქრდით თქვენს არჩევანზე და იყავით ცნობისმოყვარე.

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

პედაგოგთა კონფერენცია ჩატარდა

19 სექტემბერს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს მერვე საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია გაიმართა. კონფერეციას ესწრებოდნენ სპმთპ-ის პრეზიდენტი მაია კობახიძე, ვიცე-პრეზიდენტი მარი ალულიშვილი, დედოფლისწყაროს რესურსცენტრის უფროსი მაკა ჯანაშვილი, ადგილობრივი სკოლის დრექტორები და პროფკავშირის წევრები. კონფერენცია საქმიანად წარიმართა. დელეგატებმა მოისმინეს და განიხილეს საგანმანათლებლო სივრცეში არსებული სიახლეები. იყო კითხვა-პასუხი და დისკუსია სამუშაო საკითხებზე. კონფერენციაზედელეგატებმა სპმთპ–ის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ კვლავ მაყვალა მაძღარაშვილი აირჩიეს.

„წარმატებებს ვუსურვებ სპმთპ-ის დედოფლისწყაროს რაიონულ ორგანიზაციას და მის მზრუნველ ლიდერს, მაყვალა მაძღარაშვილს. კონფერენცია ჩატარდა საქმიანი მსჯელობით და 2 წლიანი საქმიანობის საკმაოდ საინტერესო ანგარიშით. დიდი მადლობა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს, საპატრიარქოს სკოლის დირექტორს, ჩვენს აქტივს - მასწავლებლებს და კონფერენციის ყველა დელეგატს!“ - აღნიშნავს პროფკავშირის პრეზიდენტი მაია კობახიძე.

შეხვედრის დასასრულს კიდევ ერთხელ არჩეულმა თავმჯდომარემ „შირაქს“ ემოციები გაუზიარა.

მაყვალა მაძღარაშვილი: „2008 წლიდან ვარ პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ცოტა ხანს წყვეტა მქონდა, მაგრამ მერე ისევ გავაგრძელე. ძალიან კმაყოფილი ვარ არჩევნებით და ამ კონფერენციით. მეოთხედ გამოცხადებული მხარდაჭერა ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ ეს არის გამართლება, რადგან მე შევძელი, ნდობა და პატივისცემა დავიმსახურე. მოვახერხე პედაგოგებთან კარგი კავშირები და ურთიერთობა მქონოდა, რის გამოც კიდევ ერთხელ მივიღე მხარდაჭერა. მართლაც, დიდი მუხტი იყო შეხვედრაზე. ჯამში დედოფლისწყაროში 533 წევრი გვყავს, რომელთაგან 53 დელეგატი ესწრებოდა. არჩევნების გარდა საანგარიშო შეხვედრაც იყო და ყველას გავუზიარე 4 წლიანი მუშაობის ანგარიში. ვფიქრობ, წინა ვადაში ბევრი გავაკეთე პედაგოგთა პროფესიული ზრდის თვალსაზრისით და არაერთი ტრენინგი ჩატარდა პროფკავშირის დაფინანსებით. ზოგიერთმა მასწავლებელმა რამდენჯერმეც კი ისარგებლა ამ შესაძლებლობით. პანდემიის რთული პერიოდი დაემთხვა, მაგრამ ჩვენ არ გავჩერებულვართ, მუდმივად პედაგოგებზე ვზრუნავდით. ყველა სკოლას, ვისაც ჩვენთვის მოუმართავს, ვეხმარებით ექსკურსიების თანადაფინანსებაში. გარდა ამისა, პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის სახელით სხვადასხვა დღესასწაულებზე სიმბოლურად მცირე სამახსოვრო საჩუქრებს გავცემთ ხოლმე. ძირითადად უფრო პროფესიულ ზრდაზე ვახდენთ ფინანსების გამოყოფას. აჟიოტაჟი იყო ახლახან მასწავლებელთათვის ხელფასების მატების დროს. დათვლის ახალი სისტემის ამოქმედების დროს პედაგოგთა ნაწილს პირიქით შეუმცირდა ანაზღაურება, რაზეც პროფკავშირმა სამინისტროს რეკომენდაციით მიმართა. სამინისტრომ ეს გაითვალისწინა და 200 ლარით ყველას გაეზარდა ანაზღაურება.

გასულ 4 წელში დედოფლისწყაროს არცერთ სკოლაში არ დაგვიფიქსირებია მასწავლებელთა უფლებების შელახვის, ან უკანონოდ გათავისუფლების ფაქტები. რამდენიმე შემთხვევა იყო, როცა საათების უსამართლო განაწილების საკითხზე ჩიოდნენ პედაგოგები და ჩემი მედიატორობით, ორივე მხარე შეთანხმებამდე მივიდა და ვითარება დამშვიდდა. ამას გარდა, ყოველთვის კომისიის წევრი ვარ, როცა სკოლაში ვაკანსია ცხადდება და პედაგოგს ეძებენ. ხშირად არის უნდობლობა ამ პროცესის მიმართ და ხშირად წერენ ხოლმე, რომ ეს ვაკანსიები ფორმალურად ცხადდება და რეალური დასაქმების შესაძლებლობას არ იძლევა. ვერ გეტყვით სხვა რაიონებში რა ხდება, მაგრამ ამ კუთხით დედოფლისწყაროში ნამდვილად თავისუფლებაა და არ არის ასეთი გარემო.

ახლახან, ოზაანის სკოლაში იყო ერთი შემთხვევა. სამოქალაქო განათლების საგანზე, რომელიც 3 საგაკვეთილო საათს მოიცავს, ვაკანსია გამოცხადდა. თბილისიდან პროფესორი დარეგისტრირდა და კიდევ ადგილობრივი ახალგაზრდა ბიჭი. კომისია მსჯელობდა, რომელი აეყვანათ ვაკანტურ ადგილზე. კომპეტენციის გათვალისწინებით ცხადია პროფესორი უნდა აეყვანათ. მაგრამ, ჩემი რეკომენდაცია იყო, რომ ადგილობრივი კადრის დასაქმებისთვის შეგვეწყო ხელი. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ ოზაანში მიგრაციის და ახალგაზრდა ოჯახების დეფიციტია. თბილისელ პროფესორს მეტი კომპეტენცია აქვს, მაგრამ შესაძლოა ვერ მოეხერხებინა დედაქალაქიდან სკოლაში სტაბილური სიარული. ადგილობრივი ახალგაზრდის დასაქმებით კი, ის სოფელში დარჩებოდა, ოჯახს მოეკიდებოდა, წიგნთან ექნებოდა კავშირი და სოფელს გააძლიერებდა. საბოლოო ჯამში, ადგილობრივი დასაქმდა და მიხარია, რომ ეს გაითვალისწინეს“.

ილია მარტყოფლიშვილი

სოხუმის დაცემა — ტრაგედია, რომლის მონაწილე და თვითმხილველიც ხარ...

დღეს 27 სექტემბერია - ჩემი თაობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრაგედია, რომელიც ორმაგდება, როდესაც ამ ტრაგედიის უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყავი და დიდი ვერაფერი შეძელი ჩვენი სამშობლოსთვის ამ ყველაფრის თავიდან ასარიდებლად...

ქართული ქალაქის - სოხუმის დაცემა 1993 წლის 27 სექტემბერს, სამწუხაროდ, უკვე არაპირველი იყო, მანამდე ქართველებმა კონტროლი დავკარგეთ ჯერ ცხინვალზე, შემდეგ კი, უშუალოდ აფხაზეთის ომის დროს - გაგრაზე...

სოხუმის დაცემას რამდენიმე დღეში აფხაზეთიდან ქართველების თითქმის სრული, ძალისმიერი გამოდევნა მოჰყვა, ხოლო კოდორის ხეობაში, რომელიც ჩვენი რჩებოდა, იგივე საშინელება უკვე 15 წლის შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა...

1993 წლის 27 სექტემბერი, სოხუმი, მინისტრთა საბჭოს შენობა...

რა დასამალია და, 1993 წლის 16 სექტემბრიდან (როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა, რუსი სამხედროების ხელშეწყობით, დაარღვიეს 27 ივლისის სამშვიდობო ხელშეკრულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შეტევებზე გადმოვიდნენ) თვის ბოლომდე, ვიდრე ქართული სამხედრო დანაყოფები ჯერ კიდევ იბრძოდნენ, ჯერ სოხუმის შესანარჩუნებლად, შემდეგ - ოჩამჩირესთან, მეომრების საბრძოლო სულისკვეთება განსხვავებული იყო...

თბილისიდან, კახეთიდან თუ იმერეთიდან ჩასულ ბიჭებს შეიძლება არაფერი დაუკლიათ, მაგრამ გული მაინც სახლში უწევდათ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ალყაში აღმოჩენის რეალური საფრთხე გაჩნდა...

ჩვენგან განსხვავებით, ადგილობრივი მებრძოლები ორ ცეცხლშუა აღმოჩნდნენ - თან ოჯახები სამშვიდობოს უნდა გაეყვანათ, თანაც ბრძოლის ველს დაბრუნებოდნენ - ისინი ჩვენზე, დასახმარებლად ჩასულებზე, ბევრად მეტს კარგავდნენ - მამა-პაპისეულ სახლებს, წლობით მძიმე შრომით დაგროვებულ ქონებას და წინაპრების საფლავებს...

მდინარე გუმისთის მარჯვენა სანაპიროდან მოწინააღმდეგის თვალით დანახული სოხუმი, რომელსაც ჯერ კიდევ ჩვენ ვაკონტროლებდით...

იქ, სადაც ბუნებრივმა პირობებმა ხელი შეუწყო, კოდორელებმა 15 წელი შეინარჩუნეს თავისი ხეობა, ვიდრე 2006 წელს, აგვისტოს ომამდე ორი წლით ადრე, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, სამხედრო ოპერაცია არ ჩაატარა ადგილობრივი დაჯგუფების განსაიარაღებლად - ამ დაჯგუფების მეთაურობა მართლაც არ ემორჩილებოდა ოფიციალურ თბილისს, მაგრამ შეიძლებოდა სხვა გზების მონახვა, რომ ადგილობრივი შეიარაღებული რაზმები საქართველოს რომელიმე ოფიციალურ სტრუქტურაში მოქცეულიყვნენ და გაეგრძელებინათ თავიანთი მშობლიური კოდორის ხეობის დაცვა, რასაც ისინი მანამდე წარმატებით უძღვებოდნენ - შედეგად, 2008 წლის აგვისტოში კოდორის ხეობა მაშინდელმა საქართველოს ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, უბრძოლველად ჩააბარა მოწინააღმდეგეს, მიუხედავად იმისა, რომ ხეობაში შეტანილი იყო საბრძოლო მასალისა და საწვავის დიდი მარაგი და ხეობის მთაგორიანი რელიეფიც იძლეოდა წარმატებული თავდაცვითი ბრძოლების წარმოების საშუალებას...

კოდორის ხეობის ჩაბარების პარალელურად, ასევე, თითქმის უბრძოლველად იქნა დატოვებული დიდი ლიახვის ათი ქართული სოფელი, რომლებიც მანამდე სეპარატისტული ცხინვალისკენ მიმავალ მთავარ გზას აკონტროლებდნენ - ამ შემთხვევაშიც, ადგილობრივ მოსახლეობაზე არ გაკეთდა აქცენტი მშობლიური მხარის დაცვის ორგანიზებაში ჩასართავად, ხოლო თბილისიდან გაგზავნილმა საპოლიციო ძალებმა ისე დატოვეს დიდი ლიახვის ხეობა, რომ ადგილობრივები არც კი გააფრთხილეს...

სწორედ ეს ფაქტორი, რომ მართალია, ერთი ქვეყნის, მაგრამ სხვა კუთხიდან დასახმარებლად ჩასული მებრძოლი ისეთი გულით ვერ დაიცავს სოფელსა თუ ქალაქს, როგორც ადგილობრივი მაცხოვრებელი, ახლა უკვე უკრაინის მიწაზე მეორდება, ოღონდ ხშირ შემთხვევაში, საპირისპირო მიმართულებითაც - საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ ფრონტი დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებზე გადის, სწორედ იქ, სადაც საბჭოთა პერიოდში (და მანამდეც) რუსეთის სხვა რეგიონებიდან ასახლებდნენ ადამიანებს, მათ შორის - ყოფილ მსჯავრდებულებსაც და, შესაბამისად, უკრაინული პატრიოტული სული ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში ყოველთვის ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე - უკრაინის დასავლეთ ნაწილში...

ირაკლი ალადაშვილი

27 სექტემბერი

(ჰარალდ გრიოლერს)

...„დიდი ხნის წინათ, ოთხმოციან წლების ბოლოს
საბჭოეთის მწერალთა დიდ სიმპოზიუმზე
მეც მიმიწვიეს, - ავტორი კაპიტალისტური სამყაროდან, -
ბიჭვინთაში ვცხოვრობდი და
აფხაზეთიდან ბევრი ჭრელი მოგონება წამოვიყოლე:
მაგალითად სოხუმის ცენტრში შეკრებილი ხალხის მასა
დროშებით ხელში, თანხმოვნებით სავსე მოკლე შეძახილებით
ჩამრჩა ხსოვნაში უცნაურად, ვერ გავიაზრე რა ხდებოდა,
მაგრამ მერე, როცა თქვენთან ომმა იფეთქა,
გამახსენდა ეს კადრები და თანხმოვნები...
რა ლამაზი მხარე იყო აფხაზეთი,
განსაკუთრებით სანაპირო სოხუმის ცენტრში
პალმებზე ჩამოკიდებული მზეებით...“
– მიყვება მშვიდად კიოლნელი პოეტი კაცი
რომელიც მხოლოდ ერთხელ იყო კავკასიაში.
მიყვება მშვიდად. გერმანული ძველი სულიდან
ალაგებს ამბებს უცეცხლოდ და უემოციოდ...
ფესტივალზე ვართ. გიოტინგენის ლიტფესტივალზე.
სექტემბერია. მზე ანათებს. ერთად ვსადილობთ
ძველი რესტორნის ტერასაზე. გრძელ ტერასაზე.
ვუკვეთავთ სალათს ქათმის ხორცით და წითელ ღვინოს,
მშრალს და გემრიელს, იტალიურს, მზეებით სავსეს.
ალბათ ამ ღვინის ბრალია რომ მის მოგონებებს,
მის ძველ საბჭოურ მოგონებებს მზე ახვევია...
მე კი აბა რა ვუპასუხო:
– მართლა? - ვიოცებ,
და ენის წვერზე მადგას, რომ დღეს 27 სექტემბერია,
რომ დღეს ჩვენი დამარცხების სექტემბერია,
მაგრამ არ მიყვარს საუბარი დამარცხებებზე
და ვყლაპავ სიტყვას, ენის წვერზე უიღბლოდ მომდგარს.
მაგრამ ეს რიცხვი,- 27 ჩამდის ფილტვებში,
მიდნება ცხელი ტყვიასავით და დაუნდობლად
აღვიძებს ჩემში 27 წლის წინანდელ ხველას,
რომელიც უნივერსიტეტის ბაღში,
პეტრე მელიქიშვილის ძეგლთან აგვივარდა
მე და ჩემს კურსელებს,
როცა გავიგეთ რომ სოხუმი დაეცა!
ჩვენ გვეცვა იმ დღეს დახეული ჯინსები,
(იმ დროს მეტი არაფერი იშოვებოდა),
ვიყავით შემოდგომისფრად ლამაზები და სევდიანები და
ვაზივით ვეხვეოდით ერთმანეთს,
და ვაზივით ვტიროდით
რომ ვერ გადავარჩინეთ აფხაზეთი,
რომ აფხაზეთი
ახალგაზრდულად გულუბრყვილო ხელებში ჩაგვაკვდა!

ირმა შიოლაშვილი

ოპერაში სეზონი „აბესალომ და ეთერით“ გაიხსნა

21 სექტემბერს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში 173-ე სეზონი გაიხსნა ზაქარია ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“.

დამსწრე საზოგადოებას სეზონის გახსნა მიულოცა სამხატვრო ხელმძღვანელმა ბადრი მაისურაძემ და აღნიშნა, რომ აბესალომ და ეთერის სპექტაკლი ეძღვნება, დამდგმელი რეჟისორის, გიზო ჟორდანიას 90 წლისთავს, მან ვრცლად ისაუბრა გიზო ჟორდანიას შემოქმედებაზე და დასძინა, რომ „სანამ მე, ამ თეატრის ხელმძღვანელი ვიქნები, ყოველთვის სეზონი „აბესალომ და ეთერით“ გაიხსნებაო“, შემდეგ სიტყვა გადასცა ოპერის სოლისტს ელდარ გეწაძეს: გიზო ჟორდანია არა მხოლოდ დიდი რეჟისორი გახლდათ, არამედ თითოეული ჩვენთვის შეუდარებელი იყო თეატრის ორკესტრი, გუნდი, საბალეტო დასი და ქართული ნაციონალური ბალეტი „სუხიშვილები“.

წამყვან პარტიებს მღეროდნენ: აბესალომი-გამორჩეული ტენორი არმაზ დარაშვილი, ეთერი- ულამაზესი, ბრწყინვალე სოპრანო მაყვალა ასპანიძე, აბიო მეფე- გოჩა დათუსანი, ნათელა- ირინა ალექსიძე, მარიხი - მარიკა მაჩიტაძე, მურმანი - სულხან გველესიანი, ნაანანანა ძიძიგური, თანდარუხი - თამაზ სანიგაძე, სტუმარი- გია მახარაძე, მსახურთუხუცესი- აკაკი გუგუშვილი, სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი - მარინა ბურჭულაძე. წარმოდგენამ სრული ანშლაგით ჩაიარა.

სპექტაკლის დასასრულს მაყურებელი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით აჯილდოვებდა წამყვანი პარტიების შემსრულებელ სოლისტებს, საბალეტო დასის და ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ მოცეკვავეებს.

თეატრის 173-ე სეზონის გახსნას ესწრებოდა გიზო ჟორდანიას მეუღლე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნათელა ვაჩნაძე და მაყვალა ასპანიძის დედა ქალბატონი ნაირა ნაჩხატაშვილი მგალობელი, რეგენტი და სოლისტი.

კომენტარი ვთხოვე მუსიკოსს, ხელოვნებათმცოდნეს, ქართულ-ამერიკული სკოლის პედაგოგს ია ხურცილავას: „მაყვალა ასპანიძე და არმაზ დარაშვილი განუსაზღვრელი შესაძლებლობების მომღერლები არიან, ყოველთვის მხიბლავს მათი გამორჩეული ხმის ტემბრი, გაოცებას იწვევს თითოეულის არტისტული მანერა, რითაც მაყურებლის უდიდეს სიყვარულს იმსახურებენა.

მარიკა პოპიაშვილი

ორ წლამდე გოგონა გარდაიცვალა

უბედური შემთხვევა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში. 24 სექტემბერს სოფელ გამარჯვებაში ოთხშვილიან ოჯახში წლისა და 7 თვის ბავშვი დედამ გარდაცვლილი ნახა. ოჯახის ახლობლების განმარტებით, გოგონას ჯანმრთელობის პრობლემები არ ჰქონია, დააძინეს და ვეღარ გაიღვიძა. მას შემდეგ, რაც უგონოდ ნახეს, გოგონა ჯერ სოფლის ექიმთან წაიყვანეს, შემდეგ კი სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, თუმცა გადარჩენა ვერ მოხერხდა.

წინასწარი ინფორმაციით, სავარაუდოდ, ბავშვი საკვების გადაცდენის შედეგად ძილში ასფიქსიით გარდაიცვალა.

დედოფლისწყაროს საავადმყოფოს კლინიკური დირექტორი ხათუნა ზურიკაშვილი გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ სტაციონარში შეყვანისას გოგონა უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა რეანიმაციული ღონისძიებები მაინც ჩაატარეს.

„ჩვენთან საღამოს საათებში, უკვე გარდაცვლილი შემოვიდა, მაგრამ პროტოკოლის თანახმად, 45 წუთის განმავლობაში რეანიმაციული ღონისძიებები მაინც ჩაუტარდა. გარდაცვალების მიზეზი და დიაგნოზი არ ვიცით. ექსპერტიზა არ ჩატარებია, სტაციონარიდან მშობელმა ხელწერილით გაიყვანა. როგორც ვიცი, სასწრაფო ეკიპაჟის ადგილზე მისვლას აღარ დაელოდნენ და მამამ მანქანით თავად წამოიყვანა. მერე გადასვეს სასწრაფოში და ჩვენთან შემოიყვანეს“ - აღნიშნავს დედოფლისწყაროს მთავარი ექიმი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში ვარაუდობენ, რომ პატარა უბედური შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა და ამის მიზეზი სავარაუდოდ ასფიქსია გახდა. ***შირაქი***

ნანა აფციაური და მერაბ ფიროსმანაშვილი ულრმესი მწუხარებით იუწყებიან პატარა **კესანეს** გარდაცვალებას და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მშობლებს - ლიკას და ილიკოს; ბებიას ლეილა ნავროზაშვილს, ვასიკო, ნინო, ოთარ ფიროსმანაშვილებს და კახა კონჭოშვილის ოჯახს.
დაიკრძალა 28 სექტემბერს, სოფელ გამარჯვებაში.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი საღამო ბიბლიოთეკაში

დედოფლისწყაროელ ხელოვანს ლია მაისურაძეს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყვალა გონაშვილმა თამარ მეფის ენდალმა და ჯვარი გადასცა. მაისურაძე ნაყოფიერი საზოგადოებრივი საქმიანობისა და ხელოვნებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვეს. გასულ კვირას ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში აფხაზეთისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ამავე დღეს გამოიფინა ლია მაისურაძის ნაქარგებიც. ხელოვანი აფხაზეთიდანაა, გუდაუთაში დაიბადა და გაიზარდა, შემდეგ კი ოჯახი დედოფლისწყაროში შექმნა და მას შემდეგ აქ ცხოვრობს და მოღვაწეობს. ქარგვა ბოლო წლებში დაიწყო და ისეთი სტიმული მიეცა, გაჩერებას აღარ აპირებს. ერთ გამოფენას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მის მიმართ ინტერესი მუდმივად იზრდება.

ლია მაისურაძე: „ცნობილია, რომ დედოფლისწყაროში საქართველოს სადღეგრძელო შავი ზღვიდან, შავ მთამდე ისმება და ასე გამოვხატე ჩემი ტკივილი. გამოფენაზე გატანილი მქონდა ნამუშევრები როგორც გუდაუთაში მდებარე ჩემი ზღვისპირა სახლი, ისე დედოფლისწყაროს ელიას მთის მონასტერი. დამაჯილდოვეს როგორც ფერმწერი დიპლომით და თამარის ოქროს ჯვრით. ემოცია - სულ ვკანკალებდი. ძნელია გადმოსცე ის სიხარული, როდესაც საზოგადოება გიღებს და მოსწონს ის, რასაც შენ სიყვარულით აკეთებ. მადლობა ყველას!“


ელიას მთა

გუდაუთის სახლი

ღონისძიების მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა, კიდევ ერთხელ გაიხსენეს 1992-93 წლებში, აფხაზეთში განვითარებული ტრაგიკული დღეები, პატივი მიაგეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული მეომრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის ხსოვნას და აფხაზეთში მშვიდობიანი გზებით დაბრუნების იმედი გამოთქვეს.

„ბევრი სახელი შეიძლება უწოდო ამ ღონისძიებას. აფხაზეთის მონატრება, დაბრუნების იმედი, სექტემბრის თვე განსაკუთრებით მძიმეა დევნილებისთვის, მაგრამ მინდა, სექტემბერი იმედის თვედ იქცეს. ამიტომაც შედგა ეს საღამო. იყო მოგონებები, ნოსტალგია და ერთმანეთის მოფერება“ — აღნიშნა მაყვალა გონაშვილმა.

ილია მარტყოფლიშვილი

სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“ აღინიშნა

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

კულტურის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

ილიადის ნიკოლაუსს - საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ჭიდაობაში, სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

საღამოზე მადლობა გადაუხადეს დედოფლისწყაროს ფრენბურთის ნაკრების ახალგაზრდა წევრებს, რომელთაც რამდენიმე მნიშვნელოვან ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს.

ღონისძიების ბოლო აკორდი იყო ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, **ლაშა ბექაურის** ვარსკვლავის გახსნა. მისმა სტუმრობამ სახალხო დღესასწაულზე ბავშვების საყოველთაო სიხარული გამოწვია. მთელი საღამოს მანძილზე არ წყდებოდა ლაშასთან ფოტოების გადაღებისა თუ მისი ავტოგრაფის მიღების მსურველთა გრძელი რიგი. ვარსკვლავის გახსნამდე დედოფლისწყაროს მერიისა და საკრებულოს გადაწყვეტილებით, ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს 50 000, ხოლო მის მწვრთნელს კახა წიკლაურს 10 000 ლარიანი ფულადი ჯილდო გადასცეს.

„დედოფლისწყაროობას“ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, ილია ბეგიაშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი, პარლამენტის წევრი, დავით სონღულაშვილი, ნეკრესის, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიების დროებითი მმართველი, მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ღონისძიება ჯგუფ „გუფი ლენდის“ კონცერტით და ფოიერვერკით დასრულდა.

ინგა შიოლაშვილი



ფრენბურთის ნაკრები

ულოცავენ!
ჯენეტი ხატიაშვილს!

ჩვენო უძვირფასესო მეგობარო, გილოცავთ წარმატებული და სახელოვანი ერთადერთი შვილის **ხათუნა აგლაძის** ღირსეულ აღიარებას — დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას!

ასევე, დიდი სიყვარულით და პატივისცემით გილოცავთ აგრეთვე, საამაყო შვილიშვილის **გიორგი აგლაძის** გაბედნიერებას.

საუკეთესო სურვილებით
ნანა ჭიჭინაძე და ნანა პოპიაშვილი.

იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით.

ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61

დედოფლისწყაროს ძალისმიერი სამჭიდის და საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციის დარბაზში არსებულ ყველა სპორტულ დისციპლინასთან ერთად (სამჭიდი, ძალისმიერი, კლასიკური ორჭიდი, კლასიკური წოლჭიმი) პარალელურად **6-12 წლამდე ბავშვებისთვის ახალი სექცია გაიხსნა**. სივრცეში არის ტატამი, ბოქსის და კიკბოქსინგის „გრუშები“, რომლებიც გამოყოფილი იქნება ბავშვთა თავისუფალი ვარჯიშებისთვის (ჭიდაობის ილეთები, ხელის და ფეხის ლაპებზე მუშაობა, გრუშაზე დარტყმები) სამოყვარულო დონეზე, როგორც ბიჭებისთვის, ისე გოგონებისთვის. ეს სექტორი ბავშვთა გაჯანსაღებას და სპორტულ განვითარებას მოემსახურება. სექტორის ამოქმედება მიზნად ისახავს ბავშვებში სპორტული ორიენტაციის ჩამოყალიბებას, თუ რომელი სპორტის სახეობა აირჩიონ მომავალში.

მისამართი: **ქ. დედოფლისწყარო, ჰერეთის №82,** ყოფილი საჯარო რეესტრის კორპუსში, I სართულზე. ☎ **577 19 13 71; 558 61 14 06**

ამინდი — დედოფლისწყარო

ორშაბათი 30.09		სამშაბათი 01.10		ოთხშაბათი 02.10		ხუთშაბათი 03.10		პარასკევი 04.10		შაბათი 05.10		კვირა 06.10	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
19 °	7 °	19 °	10 °	19 °	10 °	21 °	11°	20 °	10 °	20°	11 °	20 °	10 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი